ვეცხლის მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 თებერვალი ორშაბათი 2010

№036(13024) ფასი 60 თეთრი

ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნის პატივსაცემად...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

vancouver 2010

ლელოს სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე და კახა გერიძე ვანკუვერიდან

ვანკუვერი ფეხზე დადგა

» გვერდი 2-3

კახა გერიძის ფოტოები

ფელიქს ჟუმარიტაშვილი, ნოდარის მწვრთნელი:

მეორე ცდაზე, გადალახა თუ არა ფინიშის ხაზი, მივხვდი, რომ შეცდომა დაუშვა, მაღალი სიჩქარე საჭირო მონაკვეთში ვერ შეანელა...

მიხეილ სააკაშვილი:

რამდენადაც ვიცი, სპორტსმენებისა და მწვრთნელებისგან არარეთხელ იყო ტრასაზე დამცავი კედლების ამაღლების თხოვნა... კარგია, რომ ამას ახლა მაინც გაითვალისწინებენ. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ კომპეტენტურ ხალხსა და სპორტსმენებს უფრო მეტს მოვუსმენთ და დავუჯერებთ. ნუ გავაკეთებთ აქამდე გასაკეთებელს მას მერე, რაც ურემი გადაბრუნდება

ანგარიში დღევე ფორჩანმა გახსნა

ბარსას პირველი მარცხი

მსოფლიო ფეხბურთი

» გვერდი 7-11

ესპანეთიც და...

» გვერდი 12

ზრაგიკული დასაწყისი

ბოლო ორი ოლიმპიური თამაშები ტრაგიკული მოვლენებით იწყება და არა მხოლოდ საქართველოსთვის. ვანკუვერში საქართველოს სპორტული დელეგაციის თავს დატეხილმა უბედურებამ, რომელმაც 21 ნლის ოლიმპიელის, მოცოგავე ნოდარ ქუმარიტაშვილის სიცოცხლე შეწირა, ტუალნრფელი თანაგრძნობა გამოიწვია მთელ მსოფლიოში, ცხადია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ოლიმპიურ სამყაროს. ეს აშკარად იგრძნობოდა სხვადასხვა ქვეყნის მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციებში, შეინიშნება ის მნუხარებანარევი ატმოსფერო, რაც ამ დღეებში სუფევს თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქში...

ბუნებრივია, ახლა ვანკუვერში ყურადღების ცენტრშია ჩვენი ქვეყანა, ყოველ ნაბიჯზე გვისამძიმრებენ. იმას კი, თუ როგორ მიაგეს პატივი ქართველი სპორტსმენის ხსოვნას ოლიმპიადის ხაზიით გახსნისას, ცხადია, ყველა იხილავდით.

„ლელოს" მკითხველი ჩვენს დღევანდელ ინფორმაციაში ზამთრის თამაშების პირველი საშეჯიბრო დღის მიმოხილვაში ქართველი მოციგავეების შედეგებსაც უნდა ეცნობოდეს, მაგრამ... სათქმელი ამ მხრივ არაფერი გვაქვს. **ნოდარ ქუმარიტაშვილის** დაღუპვის შემდეგ მისმა მეგობარმა, თანაგუნდელმა და თანალესსულმა **ლევან გურჩიძემაც** უარი თქვა ასპარეზობაზე, რასაც, ბუნებრივია, გაგებით მოეკიდნენ ჩვენებიც და ოლიმპიადის ორგანიზატორებიც.

XXI ზამთრის თამაშების გახსნის აღლუმზე, როცა საქართველოს დელეგაცია ეროვნულ დროშაზე შებმული შავი ლენტითა და თალხიანი სამკლავეურებით გამოჩნდა, 65 ათასი მაყურებელი ფეხზე წამოდგა და ტაშით შეეგება. გულისშემძვრელი იყო ეს შთაბეჭდილება...

აღლუმის მონაწილეებისთვის ტრიბუნაზე გამოყოფილი ის ადგილი, რომელიც საქართველოს გუნდს უნდა შეესო, ცარიელი დარჩა - ჩვენებმა იქით აღარ გაუხედეთ, უმაღლ ოლიმპიურ სოფელში გაემურნენ.

თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე აღარც საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** დარჩა. ყველანი ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო საღამოზე შეეკრიბეთ ოლიმპიურ სოფელში - რა თქმა უნდა, დათრგუნველები. კარგა ხანს გაგრძელდა ეს ტკივილიანი შეკრება. პრეზიდენტმა დანერილებით გამოეკითხა ტრაგედიის დეტალები, დაინტერესდა დაღუპული სპორტსმენის ბიოგრაფიით. შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ბაკურიანში ბობსლეისა და საკუთარ სპორტის თანამედროვე ბაზა აშენდება, რომელსაც მიენიჭება ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელი. საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ამ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკა რურუა**, ჩვენი ქვეყნის ელჩი აშშ-სა და კანადაში **ბაია ქუთელია**, აჭარის მთავრობის მეთაური **ლევან ვარშალომიძე**...

მაინც რა მოხდა ოლიმპიადის გახსნის დღეს, ვანკუვერიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ უისტლერის საცივაო ტრასაზე? მწერთნელმა და ნოდარის ახლო ნათესავმა (პირველად ინფორმაცია გავრცელდა, რომ თითქოს ნოდარი მისი ვაჟი იყო) **ფელექს ქუმარიტაშვილმა** თქვა, რომ მოციგავეები, სტარტის წინ, ოლიმპიურ ტრასაზე სავარჯიშოდ ორი დღით ადრე დაუშვეს. პირველ დღეს ჩვენმა ბიჭებმა კარგად აუღეს ალღო ტრასას, მეორე დღეს ორ-ორი დაშვება შეასრულეს, მაგრამ მეორე ცდა ნოდარისთვის ფატალური შედეგით დასრულდა.

მწერთნელი: „ნოდარს ორივე ჩაშოსრიალება მშვენივრად გამოუვიდა. პირველზე ფინიში მე-12 შედეგით გადაკეთა, რაც უდავოდ დიდი სტრესი იყო მისთვის. მეორე ცდაზე, გადალახა თუ არა ფინიშის ზაზი, მიეხედი, რომ შეცდომა დაუშვა, მაღალი სიჩქარე საცირო მონაკვეთში ვერ შეანელა, ცოგიდან ამოვარდა და ბეტონის კიდეს შეასკდა, რაც სამედისწერო გამოდგა. სამედიცინო პერსონალის დიდი მცდელობის მიუხედავად, მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება ვეღარ მოხერხდა".

ქართული დელეგაცია გახსნის ცერემონიალზე
კახა ბერძენიშვილის ფოტო

ასე მიაგეს პატივი ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას



ნიკა რურუა

საცივაო ტრასაზე უსაფრთხოების ზომებს ამლიერებენ

სხვათა შორის, ამ ტრაგედიის შემდეგ უკვე ხმამაღლა და აღშფოთებით ალაპარაკდნენ სხვა დელეგაციებიც. სხვებზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა თვით კანადელებმაც კი ტელევიზიით განაცხადეს, რომ ტრასა, მით უფრო ფინიშის შემდეგ სიჩქარის დაგდების მონაკვეთი, უსაფრთხო არ არის. ახლა ისიც გაიხსენეს, რომ ვარჯიშზე არაერთი ოლიმპიელი, რომ იტყვიან, ბენვზეა გადარჩენილი. ორგანიზატორებმა არ შეისმინეს თხოვნა, რომ აემალვებინათ ფინიშის შემდგომი სახიფათო მონაკვეთი, რაც ახლა უკვე სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა...

ბოლოს კი დავძენთ, რომ ნოდარ ქუმარიტაშვილის ცხედარი უისტლერიდან ვანკუვერში გუშინ გადმოასვენეს. გამოსათხოვარ პანაშვიდს მართლმადიდებლურ ეკლესიაში გადაიხდიან.

პრეს-კონფერენცია ვანკუვერში

საქართველოს პრეზიდენტის პრესკონფერენცია ვანკუვერში

მიხეილ სააკაშვილი

ბაკურიანში ნოდარის სახელობის საციგაო ტრასას ავაგებთ

ოლიმპიურ ვანკუვერში საქართველო მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშია, ისევე, როგორც ორი წლის წინათ პეკინის თამაშებზე იყო. გაუთავებელი ინტერვიუები სხვადასხვა ქვეყნის პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის მუშაკებთან ჩვენი დელეგაციის წევრებისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა და ეს არცაა გასაკვირი - თვითი ოლიმპიადა ხომ ტრაგიკული მოვლენით დაინყო. ბაკურიანელი მოციგავის **ნოდარ ქუმარიტაშვილის** დაღუპვა სამუდამოდ დარჩება „ვანკუვერი 2010-ის" ტკივილიან მოგონებად.

შაბათს თამაშების მთავარ პრესცენტრში დილიდანვე შეინიშნებოდა აფიორტაჟი. 13 საათზე მთავარ სპრესკონფერენციო დარბაზში თამაშებზე აკრედიტებულ მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების უამრავ წარმომადგენელს მოეყარა თავი, ყველანი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პრიფინგის მოლოდინში იყვნენ.

„დაღუპული სპორტსმენის მშობლებს რამდენიმე საათის წინ ვესაუბრე. მათ მითხრეს, რომ ნოდარმა ტრაგიკულ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე დაურეკა და უთხრა, რომ მისით იამაყონ. ჩვენი ათლეტი საქართველოს იმ კუთხიდან იყო, სადაც ზამთრის სპორტს უდიდესი ტრადიციები აქვს. მისი მამა მოციგავე იყო, ბიძა მწერთნელია, რომელიც ნ ნელი საერანეთის ნაკრებსაც ავარჯიშებდა", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამ უბედური შემთხვევიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრები ვანკუვერს დატოვებდა, რაზეც ჩვენი ქვეყნის პირველმა პირმა თქვა: „მიმაჩნია, რომ მოუხედავად გუშინდელი საძინელი შემთხვევისა, ჩვენი გუნდის ვანკუვერში დარჩენა და ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა მართებული გადაწყვეტილებაა, რადგან ოლიმპიური მოძრაობა ვაუტანებაი ძალაა. ფატალური შემთხვევისგან არავინაა დაზვეული. სპორტში შეცდომები ხდება, თან ჩვენ იმ სპეციაზე ვსაუბრობთ, რომელიც სახიფათოდ ითვლება. ამიტომაც არ შეიძლება, ნოდარის სიკვდილი გამოუცდელობას მიეწეროს. იგი უდიდესი ტალანტის მქონე სპორტსმენი იყო. მის მშობლიურ ბაკურიანში აუცილებლად ავაგებთ ახალ საციგაო ტრასას და მას ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელს მივანიჭებთ".

რა იყო უისტლერში დატრიალებული უბედურების მიზეზი და მიეძღვის თუ არა ბრალი საორგანიზაციო კომიტეტს? ამაზე ვიკამათეთ ნოდარის დედაქალაქში ბევრს ლაპარაკობენ: „რამდენადაც ვიცი, სპორტსმენებისგან და მწერთნელებისგან არაერთხელ იყო თხოვნა გამეცადინ კედლების ამაღლების თაობაზე... კარგია, რომ ამას ახლა მაინც გაითვალისწინებენ. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ კომპეტენტურ ხალხსა და სპორტსმენებს უფრო მეტს მოვუსმენთ და დავეუჯერებთ. ნუ გავაკეთებთ აქამდე გასაკეთებელს მას მერე, რაც ურემი გადაბრუნდება", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეს-კონფერენციაზე ქართველი ოლიმპიელების სახელით განცხადება გააკეთა **ოთარ ჯაფარიძემ**: „ბუნებრივია, ყველანი შოკირებულნი ვართ. ეს ჩვენი კარიერის უმძიმესი, მაგრამ ამავე დროს უმაღლესი მწვრთალი და წუთებია, რადგან გარშემომყოფთა უდიდეს სოლიდარობას ვგრძნობთ. საქართველოს გუნდი ვანკუვერში ასპარეზობას ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, ნოდარის ხსოვნას მიუძღვნის და მაქსიმუმს გავილებთ".

თენგიზ გაჩეჩილაძე,
კახა ბერძენიშვილი
ვანკუვერიდან

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა კვირეულად,
პარასკევობით

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაშიი**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უფუტაკა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა: lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან ურთიერთობისთვის გაზეთის ტექნიკური მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ვანკუვერი 2010

ზამთრის ოლიმპიური თამაშები

ტრამპლინიდან ხტომა

ჰარი პოტერის დაბრუნება

ვანკუვერის თამაშების პირველი კომპლექტი ტრამპლინიდან ხტომაში გაითამაშდა. ექსპერტებმა უკვე შეიტყვეს ერთასწარიგე მონაცემუს ავსტრიის ნაკრებისა და დანარჩენი მსოფლიოს დაპირისპირებად. ამჯერად **სიმონ ამანისა** და **ადამ მალიშის** სახით გამარჯვება დანარჩენ მსოფლიოს ერგო. **ანდრეას კოფლერი** და **ვოლფგანგ ლორიცლი** ძალიან სუსტად გამოსყურებოდნენ, **ტომას მორგენშტერნმა** კი ვერ აჩვენა ის ფორმა, რითაც ვარჯიშებსა და საკვალიფიკაციო სესიაზე დაგვამახსოვრა თავი, რაც შეეხება **გრეგორ შლირენცაუერს**, მან მოახერხა პოდიუმის შესამე საფეხურზე ასვლა, თანაც ეს არც ისე წარმატებული პირველი ცდის შემდეგ მოახერხა - მეორე ნახტომის წინ ავსტრიელი მხოლოდ მეშვიდე იყო. გადამწყვეტ ზომენტში ახალგაზრდა მტკიცედ ძალები მოიკრიბა და ბოლო მომენტში აჯობა **ივან ჰაბენცსს** და **მიხაელ ურმანს.** ფინელმა ოლიმპიადებზე საკუთარი პირადი რეკორდი გაიმეორა, მაგრამ ამას მისთვის დიდი ზეგება არ მოუტანია. რაც შეეხება ურმანს, მან ამჯერადაც ვერ შეძლო ოლიმპიურ მედლის მოპოვება, არადა, პირველი ცდის შემდეგ მეორე იყო.

ვერცხლი ადამ მალიშს ერგო - ეს მისი პირველი წარმატება ოლიმპიადებზე. პოლონელმა ეს ჯილდო ნამდვილად დაიმსახურა ბრწყინვალე კარიერის, მუდმივი შრომისა და კოლეგებისადმი ჯენტლმენური დამოკიდებულების გამო.

ადამი უფრო მეტის მიღწევას ვერ შეძლებდა, რადგან ორი იდეალური ნახტომი შეასრულა შეეცადოთ ნახონ სიმონ ამანმა.

2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტიის ოლიმპიადაზე 20 წლის "ჰარი პოტერმა" (ამანის მეტსახელი) ორი ინდივიდუალური ოქროთი გააკვირვა მთელი მსოფლიო, შემდეგ დეპრესიაში

ჩავარდა, ტურინის თამაშების ციკლი ჩააგდო და მხოლოდ 2007 წელს დაუბრუნდა ძველ დონეს, როცა საპოროში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

გუშინ სიმონს ყველაფერი კარგად გამოსდიოდა - ტრამპლინიდან ახტომის მომენტი, უმეცდინო ფრენა, კარგი დამშვება. რაც მთავარია, ამანმა იმ ცდეზე ჯერ არ ნახტომი შეასრულა - 108 მეტრზე გაფრინდა. მის მხარდასაჭერად სტადიონზე ცნობილი შვეიცარიელი სამთო-მთიხილამურე **დიდიე ქუში** მივიდა. ამანმა ის არ დაალალატა და ახლა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ.

HS106

1. **სიმონ ამანი** (შვეიც) - 276.5 (105.0+108.0); 2. **ადამ მალიში** (პოლ) - 269.5 (103.5+105.0); 3. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 268.0 (101.5+ 106.5); 4. **იანე ჰანნენი** (ფინ) - 263.0 (102.0+104.0); 5. **მიხაელ ურმანი** (გერ) - 262.5 (103.5+ 102.0); 6. **რობერტ კრანიეც** (სლოვენ) - 259.5 (102.0+ 102.5)... 8. **ტომას მორგენშტერნი** (ავსტრია) - 258.5 (102.0+101.5)... 10. **მარჯან შტატი** (გერ) - 256.0 (99.5+ 103.5); 11. **ვოლფგანგ ლორიცლი** (ავსტრია) - 255.0 (100.0+ 102.5)... 14. **ალეშ ანდაი** (ჩეხ) - 250.5 (101.0+99.5)... 19. **ანდრეას კოფლერი** (ავსტრია) - 241.5 (98.0+98.5)... 23. **მაირონ ენგლ რიპოლენი** (ნორ) - 235.0 (98.5+96.0)...

დღის ჩემპიონები

ტრამპლინიდან ხტომა

1. სიმონ ამანი (შვეიცარია)
2. ადამ მალიში (პოლონეთი)
3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)

ციგურსატარების სპრინტი. 5000 მ. კაცები

1. სვენ კრამერი (ჰოლანდია)
2. სინ-ჰონ ლი (სამხრეთ კორეა)
3. ივან სკობრევი (რუსეთი)

ბიათლონი. 7.5 კმ. ქალები

1. ანასტასია კუზმინა (სლოვაკეთი)
2. მაგდალენა ნეუნერი (გერმანია)
3. მარი დორჩინი (საფრანგეთი)

შორეზე-ბრუაი. 1500 მ. კაცები

1. იან-სუ ლი (სამხრეთ კორეა)
2. ანტონ ანიოლო ონო (აშშ)
3. ჯეი არ ჩელსი (აშშ)

ფრისტაილი. მოგზაურობა. ქალები

1. ჰანა კირნი (აშშ)
2. ჯენიფერ ჰილი (კანადა)
3. შეინონ ბერკი (აშშ)

გენდერი ჩათვლა

ამერიკა დაწინაურდა

პირველი დღის შემდეგ ამერიკის ნაკრები გუნდურ ჩათვლაში დანიაზე დაწინაურდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გუშინ გამოვლინას მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა შორეზე-ბრუაში 1500 მეტრზე და მოგუღანი (ფრისტაილის დისციპლინა). ამ შეჯიბრებებში ამერიკელებმა ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს.

პირველი გამარჯვებული გაირკვა შორეზე-ბრუაში - მამაკაცებმა 1500 მეტრზე გაიოამაშეს მედლები. აქ თავისუფლად მეიძლებოდა მთელი პოდიუმი სამხრეთკორეელ მორბენლებს დაეკავებინათ: ფინიშის წინ ბოლო მოსახვევში ამ ქვეყნის სამი წარმომადგენელი იყო დაწინაურებული. გუნდური ტაქტიკა ბოლომდე გაამართლებდა, მათ ერთმანეთში ჭიდაობა რომ არ დაეწყოთ. სამაოლოდ, ორი კორეელი დაეცა და ბრძოლას გამოეთიშა, მათ ნაცვლად კი მეორე-მესამე ადგილები ამერიკელებმა **პაოლონ ანტონ ონომ** და **ჯეი არ ჩელსიმ** დაიკავეს. სხვათა შორის, ონომ კარიერაში მეექვსე ოლიმპიური მედალი მოიპოვა: მანამდე მის ანგარიშზე ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოგროდა.

შორეზე-ბრუაი

1500 მ. კაცები

1. ოჰ-სუ ლი (ს. კორ) - 2:17,611 (ოლიმპიური რეკორდი); 2. ანტონ ანიოლო ონო (აშშ) - 2:17,976; 3. ჯეი არ ჩელსი (აშშ) - 2:18,053; 4. ოლივე ჟან (კან) - 2:18,806; 5. ჰან-სუნ ლი (ს. კორ) - 2:45,010; 6. ვენსან ლანაგი (ჩინ) - 2:48,192.

ფრისტაილი

მოგზაურობა. ქალები

1. ჰანა კირნი (აშშ) - 26.63, 2. ჯენიფერ ჰილი (კან) - 25.69; 3. შეინონ ბერკი (აშშ) - 25.43; 4. ანიკ უემური (ავს) - 24.68; 5. ხლოე დუფურ-ლაპოანი (კან) - 23.87; 6. მარგარიტა მარმაზოვი (ავსტრია) - 23.69.

მედლების ცხრილი

	ო	ვ	ბ	ს
1. აშშ	1	1	2	4
2. ს. კორეა	1	1	0	2
3. ესტონეთი	1	0	0	1
3. შვეიცარია	1	0	0	1
3. პოლონეთი	1	0	0	1
6. გერმანია	0	1	0	1
6. კანადა	0	1	0	1
6. ჩინეთი	0	1	0	1
9. ავსტრია	0	0	1	1
9. საფრანგეთი	0	0	1	1
9. ჩეხეთი	0	0	1	1

ციგურსატარების სპრინტი

პირველი პოლანდიური ოქრო

რომორც ჩანს, ვანკუვერში ციგურებით მორბენალთა ტურნირი კვლავ პოლანდიელების დომინირების ჩაიელის. სპორტის ამ სახეობაში პირველი დისციპლინა ამ ქვეყნის წარმომადგენლის დიდი უპირატესობით დასრულდა. კერძოდ, 5000 მეტრზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **სვენ კრამერმა** ამავე დისტანციაზე პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგო.

მედლების ბედი ბოლო ოთხ გარბენში უნდა გარკვეულიყო, რომელშიც ფავორიტები იღებდნენ მონაწილეობას. ვარსკვლავური წყვილი შეიადგინეს კრამერმა და ზამთრის თამაშების ისტორიაში პირველმა შავკანიანმა ჩემპიონმა **შენი დევისმა**. ეს უკანასკნელი გუნდურ რბოლაზე უარის თქმისა და ვეტერან თანაგუნდელ **ჩად ჰედრიკთან** ჩხუბის შემდეგ, პრაქტიკულად, ჩამოშორდა ამერიკის ნაკრებს. გარბენის დანყებიდან სულ ცოტა ხანში გაირკვა, რომ 5000 მეტრზე მსოფლიო რეკორდის მფლობელი კრამერი ერთი თავით მაღლა დგას მეტოქეებზე. პოლანდიელმა ვანკუვერის არცთუ ისე სწრაფ ყინულზე ოლიმპიური რეკორდის დამყარებაც კი შეძლო.

5000 მ. კაცები

1. **სვენ კრამერი** (პოლ) - 6:14.60 (ოლიმპიური რეკორდი); 2. **სინ-ჰონ ლი** (ს. კორ) - 6:16.95; 3. **ივან სკობრევი** (რუს) - 6:18.05, 4. **შაროკენ ბოკო** (ნორ) - 6:18.80; 5. **ბოპ დე ირონგი** (პოლ) - 6:19.02; 6. **ალექსეი ლონგენი** (სავ) - 6:19.58; 7. **ენრიკო ფაბრონი** (იტა) - 6:20.53... 11. **ჩად ჰედრიკი** (აშშ) - 6:27.07; 12. **შენი დევისი** (აშშ) - 6:28.44...

თუ კრამერის გამარჯვება დამსახურებული იყო, დიდ სენსაციად მოინათლა კორეელი **სინ-ჰონ ლის** მეორე ადგილი. ამ მორბენალის გვარი მხოლოდ სპეციალისტებს თუ ეცნობოდათ გაგონილი და შესაბამისად, მისგან მედალს არავინ ელოდა. კრამერის მთავარ კონკურენტებად მეორე ჰოლანდიელი **ბოპ დე ირონგი**, იტალიელი **ენრიკო ფაბრონი** და ნინა ოლიმპიადის გამარჯვებული **ჩად ჰედრიკი** ითვლებოდნენ.

აზიელის მეწყვილე დე ირონგი გახლდათ. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ჰოლანდიელი ილოდა გაუსწორებლობა მეტოქეს, მის უმეტეს, რომ 21 ნლის ლი ბოლოსკენ აშკარად დაღლილი ჩანდა. მოეხედავად ამისა, მან არათუ ნააგო დე ირონგიან, არამედ კრამერის შედეგსაც შეუტია - 3400 მეტრის ნიშნულზე მისი ჩამორჩენა 5 წამს შეადგენდა, ფინიშისთვის კი სხეთაა 2:35 წამამდე დავიდა. საბოლოოდ, კორეელმა დამსახურებული ვერცხლი მიიღო.

ბიათლონი

რუსმა რუსებს მოუგო

დღის მთავარი სენსაცია ქალ ბიატლონისტთა სპრინტში აღინიშნა. გერმანელი **მაგდალენა ნეონერს** თუ არ ჩავთვლით, გუშინდელი სტარტი ფავორიტთა სრული კრახით აღინიშნა.

რბოლის წინ ნორნერს ყველა მთავარ ფავორიტად თვლიდა. ასევე მაღალი იყო შვედების - **ოლაფსონისა** და **ირნსონის** (მსოფლიო თასის ლიდერი) შანსები. ესანდინავიელებმა იდეალურად ისროლეს, მაგრამ სისწრაფეში მოკოყლებდნენ. საპირისპირო პრობლემები ჰქონდათ გერმანელებს - **ვილპელმს, პენკეცსა** და **ჰაუსვალდს**. ძალიან სუსტად გამოყურებოდა რუსეთის ნარები...

ნორნერი ეჩქეულებრივ ძალიან სწრაფი იყო და თან თავიდან მთავარი ნაკლიც გამოასწორა - სასროლეთზე სულ ერთი შეცდომა დაუშვა და პრაქტიკულად გაანდგურეო ჰქონდა გამარჯვება.

ასეთ პირობებში გაისროლა სლოვაკეთის წარმომადგენელმა **ანასტასია კუზმინამ**. ის ყველაზე კარგად აღმოჩნდა მომზადებული. მანაც ნორნერივით ერთი სროლა აიცილა, რის შემდეგაც უსწრაფესი ბოლო წრე გაიარა და მისი დრო შეეჯიბრების ბოლომდე სხეებისთვის ორიენტირად დარჩა. ნორნერმა მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა, რადგან წვიმის გამო ტრასა საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა და თხილამურის პრაქტიკულად არ სრიალებდა.

კუზმინას ქალაქვეთის გვარია - **შიპულინა**. ის დიდი ხანი რუსეთის ნაკრებში გამოდიოდა, იყო უფიცრობა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. შემდეგ ცოლად გაჰყვა ისრაელელ მოთხილამურე **დანიელ კუზმინს** და 2008-09 წლებიდან მოყოლებული სლოვაკეთის ნაკრების სახელით გამოდის. მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონობაში კუზმინამ მასაჯარებელ ვერცხლი მოიგო, მაგრამ გუშინდელამდე სხეა მნიშვნელოვანი ნარმატებები არ ჰქონია. უფრო მეტიც, ვანკუვერის თამაშებამდეც ცოტა ხნით ადრე ხელი მოიტება და კანდადში მისი გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

ახლა რუსი მწვრთნელები ძალიან ნანობენ ასეთი ძლიერი სპორტსმენის გაშვებას, კუზმინას კი სლოვაკეთის გარის სტატუსი გარანტირებული აქვს, რადგან ამ ქვეყნიდან პირველი მედალი მოიგო ზამთრის თამაშებზე.

სხვათა შორის, ანასტასიას ძმა - **ანტონ შიპულინიც** ბიატლონისტია და მას მამაკაცების გუშინდელ სპრინტში უნდა ჰქონოდა დებიუტი ოლიმპიადაზე.

7.5 კმ. ქალები

1. **ანასტასია კუზმინა** (სლოვაკ) - 19:55,6 (0+0); 2. **მაგდალენა ნეონერი** (გერ) - +1,5 (0+1); 3. **მარი დორჩინი** (სავ) - +10,9 (0+0); 4. **ანა ბოტლიანნა** (რუს) - +12,1 (0+0); 5. **ვეერნა ხერუხალოვა** (ჩეხ) - +24,8 (0+0); 6. **მარიანნ ბერხტოლდ** (სავ) - +27,7 (0+0)... 12. **ანელნა ნილსონი** (შვედ) - +46,9 (0+0)... 15. **სანდრინ ბეი** (სავ) +49,7 (1+1)... 20. **ანა ყარინ ოლოფსონი** (შვედ) - +57,9 (1+0)... 26. **სიმონე ჰაუსვალდი** (გერ) - +1:18,5 (1+1); 27. **ანდრეა ჰენკელი** (გერ) - +1:20,1 (1+1)... 30. **კაჩი ვოლპელში** (გერ) - +1:31,6 (2+1); 33. **ტორა ბერგკვისტ** (ნორ) +1:46,5 (1+1)...

სამთო-სათხილამურო სპორტი

გრაფიკი პირია

გუშინ მედლების კიდევ ერთი კომპლექტი უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრ უისტლერში კვლავაც ცუდი მეტეოროლოგიური პირობებია. მოთხილამურებმა ჯერ ერთი ოფიციალური ვარჯიშიც კი ვერ ჩაატარეს, მის გარეშე კი ტურნირის გამართვა აკრძალულია.

ორგანიზატორებმა უკვე ორი სტარტი გადადეს, რის შემდეგაც ახალი განრიგი გამოაქვეყნეს. მამაკაცებს შორის სწრაფდაშვება 15 თებერვალს, ადგილობრივი დროით 10 საათსა და 30 წუთზე (თბილისის დროით - 22:30) დაინყება, მამაკაცების სუპერკომბინაცია - სამშაბათისთვის დაიტანტეს, ქალთა სწრაფდაშვება ოთხშაბათს გაიმართება, ხოლო ქალთა სუპერკომბინაცია, რომელიც დღეს უნდა ჩატარებულიყო - ხუთშაბათის.

ამის შემდეგ სამთომი-თხილამურეთა ტურნირი დაგეგმილი გრაფიკით გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

ვანკუვერი 2010
VANCOUVER 2010



თებერვალში მოედნებზე ასეთი პრობლემა შეიძლება ხშირად იყოს

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

სამხრეთელებს იბრძოლა, ზესტაფონმა გაიმარჯვა

13.02. სამტრედია. ე. მაწყვალაძე
2 000 მაყურებელი

სამტრედია	2
ზესტაფონი	3

0:1 დვალი (7), 0:2 ძარია (27. ოფციაურის პასით), 1:2 ტყემალაძე (36), 1:3 დვალი (67), 2:3 ჟვანია (71. ზ. ხაჭიპარაძის პასით)

გამოსუნებელი პენალტი: ჩოპახიძე (62. მეკარე)

სამტრედია: ხარძეიშვილი (46. შენგელია) - სამსონაშვილი, გოგია, ჟვანია, ქორქია - კვაღნინძე (53. ფორცხალავა), ილურიძე, ტყემალაძე, ჩოპახიძე (77. ბარამიძე) - ვეფხვიშვილი, ზ. ხაჭიპარაძე.

ზესტაფონი: ნინუა, კორთაძე, ჯუპარიშვილი, ჩალაძე

ზესტაფონი: რ. ჯვანხეკაძე - ბენაშვილი, გ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ელიავა - ოფციაური (90. ჯობაძიძე), დათუნაშვილი, ძარია, ჯერგალიშვილი - დვალი (89. ცხადაია), ჭელაშვილი (76. ნინაძისქვრივილი).

ჯარისკაცები: მამალაძე, მაკარიანი, მოქამჩიაშე, კორკელიძე

გაფრთხილება: ზ. ხაჭიპარაძე (18), გერგალაშვილი (52), დათუნაშვილი (63)

გაძევება: დათუნაშვილი (87)

არბიტრი: ლ. ჯვარცხელაძე

გამართლებულია თუ არა თებერვალში თამაში?

გია ფირცხალაბა: მომავალში ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ

დღეთიელობის გამო საქართველოს ჩემპიონატის ორი ტური, ფაქტობრივად, ჩავარდა. ქართული მოედნები ამგვარი კლიმატური პირობებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. „ამერის“ სტადიონის დირექტორი **მალვა საბაშვილი** მიიჩნევს, რომ თებერვალში ჩემპიონატის მატჩების ჩატარება გაუმართლებელია და რომ მეორე ტაქმი მარტიდან უნდა დაიწყოს:

- თოვლმა ბავშვები კი გაახარა, მაგრამ საფეხბურთო სამყაროს დიდი თავსატეხი გაგვიჩინა.

- მოედნის მომზადება რატომ გახდა პრობლემა? თოვლის აღება ხომ შეიძლებოდა?

- რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, „გაგრა“-“ვიტ ჯორჯიას“ მეხუთეკილომეტრიან კიდეზე, მაგრამ მოედნის მომზადება შეუძლებელი აღმოჩნდა

- საკმაოდ დიდი თოვლი იდო, რომლის გადასაწმენდად 150 კაცი მაინც დაგვჭირდებოდა. ნინა მეხუთეზონის ნინ 20 კაცი ორი დღე-ღამე ხეტქვა მოედანს, ახლა კი 150 კაციის მობილიზების საშუალება არ გვქონდა. შეიძლებოდა დათოვლილ მოედანზე თამაში და ხაზების ფერადი საღებავით ან ქვიშით აღნიშვნა, მაგრამ ასეთ მოედანზე ბურთის გაგორება შეუძლებელი იქნებოდა.

- მოკლედ, ჩვენი სტადიონები ამგვარი კლიმატური პირობებისთვის მოუმზადებელია...

- საამისოდ, გარკვეული პირობებია საჭირო, თორემ მომზადება კიდევ შეიძლებოდა. ხომ გითხრათ, თამაშის წინა დღეს მოსული თოვლის გამო, მოედნის სასწრაფოდ გადაწმენდა შეუძლებელი აღმოჩნდა.

- თქვენი აზრით, თებერვალში ჩემპიონატის გამართვა სასურველია?

- ბუმბერაზი მოედნის სპეციალისტი და არა - როგორც საფეხბურთო მოხელე: თებერვლის დასაწყისში შმენერი ამინდები იყო და საფარიც ნორმალურად გამოიყურებოდა, თუმცა ნაღექის მომატებისთანავე, მოედანს პრობლემა შეექმნა. საერთოდ, თებერვალში თამაშების ჩატარება გაუმართლებელი მგონია, რადგან ამ პერიოდისთვის მოედნები მოუმზადებელია, ვეგეტაცია დანებებული არ არის და საფარის რეაბილიტაცია შეუძლებელია. სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ დასავლეთშიც რთულია, სადაც ბევრად უფრო რბილი კლიმატური პირობებია. სამწუხაროდ, მოედნების ხელოვნურად გათბობასაც ვერ ვიხერხებთ, საფარის დროულად ვეგეტაცია რომ დაინყოს.

ამ თემაზე სასაუბროდ პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ **გია ფირცხალავას** დავუკავშირდით.

- ბატონო გია, ორი ტურის ფაქტობრივმა ჩაშლამ ბევრი დააფიქრა, რომ თებერვალში ჩემპიონატის გამართვა ნაადრევია. ახლა „ამერის“ სტადიონის დირექტორს ველაპარაკეთ. ის მიიჩნევს, რომ ამ პერიოდისთვის მოედნების კარგად მომზადება შეუძლებელია.

- ეს ახლა შეიქმნა პრობლემები, თორემ გასულ წელს ყველაფერი მშვენივრად იყო და უამინდობის გამო ტური არ ჩაშლილა. თუმცა მომხდარი უდავოდ გასათვალისწინებელია, რადგან მსგავსი რამ, შესაძლოა, ისევ განმეორდეს. თუკი თამაშებს ვერ ჩავაბარებთ, ტურების დაგეგმვას რაღა აზრი აქვს? მაგრამ ყველაზე მოულოდნელი იყო ის, რომ მატჩები ვერც ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩაბარდა. როგორც ვიარეკვა, თოვლის აღების დროს საფარი გაფუჭდებოდა. საამისოდ საგანგებო ტექნიკაა საჭირო.

- ხომ არ ჯობია, ზაფხული უკეთ გამოვიყენოთ და თებერვალი გუნდებს უკეთ მოსაზადებლად დავუთმოთ? ბოლოს და ბოლოს, ეროვნულ ჩემპიონაკს ხალხი ისედაც არ სწყალობს და მით უმეტეს, ვინ იყალის ფეხბურთზე თებერვალში?

- კიდევ ერთხელ ვიმბობ, რომ წლევანდელი პრობლემები კალენდრის დაგეგმვასთან აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. დროის უქმად გაცდენა ნამდვილად არ გვანყობს. მომავალი ლიზონის კალენდრის შედგენისას ამის თაობაზე საგანგებოდ ვიმსჯელებთ. თებერვალი მართლაც ცუდია, რადგან თამაშების ჩასატარებლად სტადიონებს პირობები არ აქვთ.

- კონკრეტულად რა პირობებს გულისხმობთ?

- თუნდაც სპეცტექნიკას, რომლითაც მოედნებს გადავწმენდით. გუნდებს და სტადიონებს საამისო საშუალება არ გააჩნიათ. ამიტომ ავღობებ, მოგვიანებით გავმართოთ. თუმცა ამავდროულად უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლოა, ამგვარი პრობლემა მარტშიც წარმოიქმნას. აუცილებლად უნდა მოვნახოთ რაღაც გამოსავალი.

„ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი **გია გეგეჭკორი**:

- ბატონო გია, თქვენთვის, როგორც მწვრთნელისთვის, რამდენად მისაღებია თებერვალში სეზონის გახსნება, ჩვენი პირობებისა და მოედნების მდგომარეობის გათვალისწინებით?

- ბუნებრივია, მეორე ეშელონ უკეთეს პირობებში. უნდა გავიხსენოთ წინანდელი. ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ, რომელი პერიოდია ქართული უფრო მისაღები. მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატი 20 მარტს ბოლოვდება. არადა, მაისი, რომ მშვენიერი სათამაშო პირობებია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ამას გარდა, საქართველოში დეკემბერი ერთ-ერთი ყველაზე მშრალი და უნალექო თვეა და ესეც გამოსაყენებელია. 25 დეკემბრამდე შეიძლება თამაში. თებერვალ-მარტი კი ყველაზე ნალექიანი და რთული პერიოდია. არის მოსაზრებაც, რომ „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემიდან „გაზაფხული-შემოდგომაზე“ გადავიდეთ, მაგრამ ეს რთული საკითხია და კარგად დაფიქრება გვმართებს.

- საქართველოსთვის რომელი სისტემაა უფრო მისაღები?

- ორივეს თავისი პლუს-მინუსი აქვს და ცალსახად ვერაფერს ვიტყვი. ფაქტია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ასეთი სამინდვრე პრობლემები აღარ ვითამაშოთ.

- ქართული გუნდების ნაწილი ევროთასებაზე გადის, სადაც „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით უნევთ თამაში. „გაზაფხული-შემოდგომის“ სისტემაზე გადასვლა უეფას ტურნირების რიგმიდან ამოვარდნას ხომ არ გამოიწვევს?

- სწორედ ამას ვგულისხმობდი, რომ ცალკეული საკითხის სირთულესა და სეირნობულ დაფიქრებაზე გავამახვილე ყურადღება. დასაფიქრებელია არა მხოლოდ ევროთასების კალენდრის, არამედ ჩვენი კლიმატისა და მოედნების მდგომარეობაც... ამიტომ, სისტემის შეცვლის თაობაზე ჯერჯერობით ვეროვერს გეტყვით. გადაწყვეტილების მიღებამდე ყველაფერი კარგად უნდა აგონონ-დაგონონთ.

ᲐᲑᲡᲚᲘᲣᲢᲘ პროფლიგის პრესსამსახურმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„ამინდის გაუთვალისწინების გამო, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის დაფინანსებელმა, მობილური ტელეფონის ოპერატორის „გაზაფხული-შემოდგომაზე“ გადავიდეთ, მაგრამ ეს რთული საკითხია და კარგად დაფიქრება გვმართებს.

- საქართველოსთვის რომელი სისტემაა უფრო მისაღები?

- ორივეს თავისი პლუს-მინუსი აქვს და ცალსახად ვერაფერს ვიტყვი. ფაქტია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ასეთი სამინდვრე პრობლემები აღარ ვითამაშოთ.

- ქართული გუნდების ნაწილი ევროთასებაზე გადის, სადაც „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით უნევთ თამაში. „გაზაფხული-შემოდგომის“ სისტემაზე გადასვლა უეფას ტურნირების რიგმიდან ამოვარდნას ხომ არ გამოიწვევს?

- სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა საკითხის სირთულესა და სეირნობულ დაფიქრებაზე გავამახვილე ყურადღება. დასაფიქრებელია არა მხოლოდ ევროთასების კალენდრის, არამედ ჩვენი კლიმატისა და მოედნების მდგომარეობაც... ამიტომ, სისტემის შეცვლის თაობაზე ჯერჯერობით ვეროვერს გეტყვით. გადაწყვეტილების მიღებამდე ყველაფერი კარგად უნდა აგონონ-დაგონონთ.

ᲐᲑᲡᲚᲘᲣᲢᲘ პროფლიგის პრესსამსახურმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„ამინდის გაუთვალისწინების გამო, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის დირექტორატმა გადაწყვიტა, მომდინარე ეროვნული ჩემპიონატის მე- 20 ტურში, 12 და 13 თებერვალს გამართული შემდეგი მატჩები გადაიდგა: „გაგრა“-“ვიტ ჯორჯია“, „სიონი“-“დინამო“, „ლოკომოტივი“-“ოლიმპი“. მატჩების ჩატარების ზუსტ თარიღსა და დროს დადგენისთანავე, ჩვენი საიტის მეშვეობით შეიტყობთ“.

მჭიდრო კალენდრის გამო, გადატანილი მატჩების დაგეგმვა რთულია, თუმცა ნინასწარ იყო გათვალისწინებული დღეები, როცა გადადებული მატჩების გამართვა იქნებოდა შესაძლებელი.

ნოდარ კაკულია, პროფლიგის სახეზურობის განყოფილების ხელმძღვანელი: „ამ შეხვედრებს 2, 9 და 10 მარტს ჩავატარებთ. თუკი „ვიტ ჯორჯიას“ ნაკრებში ხალხი არ ეყოლება, „სამხრეთოსთან“ გამოტოვებულ შეხვედრას 2 მარტს დავუნიშნავთ. ბევრი ნოუსნია გასათვალისწინებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ორი ტურის გადადებული შეხვედრები მარტის ბოლომდე უნდა გაიმართოს“.

მერაბ მამულაშვილი

13.02. სამტრედია. ე. მაწყვალაძე
2 000 მაყურებელი

სამტრედია	2
ზესტაფონი	3

0:1 დვალი (7), 0:2 ძარია (27. ოფციაურის პასით), 1:2 ტყემალაძე (36), 1:3 დვალი (67), 2:3 ჟვანია (71. ზ. ხაჭიპარაძის პასით)

გამოსუნებელი პენალტი: ჩოპახიძე (62. მეკარე)

სამტრედია: ხარძეიშვილი (46. შენგელია) - სამსონაშვილი, გოგია, ჟვანია, ქორქია - კვაღნინძე (53. ფორცხალავა), ილურიძე, ტყემალაძე, ჩოპახიძე (77. ბარამიძე) - ვეფხვიშვილი, ზ. ხაჭიპარაძე.

სამსონაშვილი: ნინუა, კორთაძე, ჯუპარიშვილი, ჩალაძე

ზესტაფონი: რ. ჯვანხეკაძე - ბენაშვილი, გ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ელიავა - ოფციაური (90. ჯობაძიძე), დათუნაშვილი, ძარია, ჯერგალიშვილი - დვალი (89. ცხადაია), ჭელაშვილი (76. ნინაძისქვრივილი).

ჯარისკაცები: მამალაძე, მაკარიანი, მოქამჩიაშე, კორკელიძე

გაფრთხილება: ზ. ხაჭიპარაძე (18), გერგალაშვილი (52), დათუნაშვილი (63)

გაძევება: დათუნაშვილი (87)

არბიტრი: ლ. ჯვარცხელაძე

სეზონის მესამე იმერული დერბი ძლიერი ქარის თანხლებით ნარინმართა. სამმრედიაში ძალიან ცივდა, თუმცა, როგორც ცნობილია, ბუნებრივი სირთულეები სამმრედიელ გულშემატკივრებზე არ მოქმედებს - უამინდობამ სტადიონის შესვებას ხელი ვერც ახლა შეუშალა. 40-მდე ერთგული ფანი საკუთარი გუნდის საკმაოგად ზესტაფონდანაც იყო ჩამოსული. ისინი ადგილობრივებზე არანაკლებ აქტიურობდნენ. წინა ტურში ზესტაფონელებმა ყველასათვის მოულოდნელად „ლოკომოტივთან“ საშინაო მატჩში დაკარგეს ქულები და თუ კლება ჩემპიონობაზე ფიქრობენ, ამ მატჩში მორიგი ნაფორხილების უფლება აღარ ჰქონდათ. „სამმრედია“ რომ არაგისთვის არ არის იოლი ლუკმა, ეს ამ გუნდმა ნინა შეხვედრებიც დაამტკიცა. ზამთრის შესვენებისას გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა, თუმცა, როგორც ჩანს, ამას გუნდზე ცუდად არ უმოქმედია. „სამმრედიამ“ ძველებურად იბრძოლა და სანახაობრივ შეხვედრაში ცოტაც რომ გამარილებოდა, ქულას მაინც გამოსკრავდა ხელს.

შეხვედრა ზესტაფონელთა უპირასტეყობით დაიწყო. **გია გეგეჭკორის** შეგირდები მოკლე, სწრაფი პასებით ავიწროებდნენ მეტოქეს. სტუმრთა აქტიურობამ შედეგი მალევე გამოიღო. მე-7 წუთზე **დათუნაშვილის** მოედნის ცენტრიდან წამოწყო შეტევა, შემდეგ ბურთი მიიღო **ჭელაშვილმა,** რომელმაც **დვალი** გაიყვანა შეკრულთან პირისპირ. ზესტაფონელი ფორვარდის პირველი დარტყმა **ხარძეიშვილმა** მოიგერია, მაგრამ დამატებაზე კვლავ ჯობან იმართება და სტუმრები დაანნურა - 0:1.

დვალს მომდევნო შეტევის დროსაც ჰქონდა გოლის გატანის შანსი - **გრიგალაშვილის** ფულბეკური გადაცემის შემდეგ ზესტაფონელი ფორვარდი ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ კუთხე ძალიან მახვილი იყო და მიზანში ვერ მოარტყა. მალე ფეროელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა. 27-ე წუთზე **ოფციაურმა** კუთხურიდან საჯარიმოში დაბალი ბრავედრითი გაგზავნა ბურთი, რომელსაც **ძარია** გამოეზპირა და ხარძეიშვილის ახლო დაბალ კუთხეში გაუტანა - 0:2.

მეორე გოლის შემდეგ ზესტაფონი ოდნავ მოეშვა და უპირატესობა სამმრედიელთა მხარეს გადავიდა. განსაკუთრებით სუსტად ფეროელთა უკანა ხაზი გამოიყურებოდა, რომელსაც საკმაოზე მეტი ხარვეზი ჰქონდა. 32-ე წუთზე **ჩოპახიძის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ **კვასხვაძემ** ბურთი ხელებში ვერ შეიძყრა და ზესტაფონელთა კართან ხიფათი შეიქმნა, თუმცა მეკარემ შეცდომა გამოასწორა და ბურთს მანიც დაუფლდა. რამდენიმე წუთში - სამმრედიელებმა ანგარიშის შემცირება მაინც მოახერხეს - მასპინძლთა მწვავე შეტევა მეტოქის საჯარიმოში მარჯვენიდან შეძრილმა **ტყემალაძემ** დაადგინგარნა -1:2.

ამის შემდეგ ზესტაფონელები კვლავ გაექტიურდნენ. ორჯერ სახიფათო საჯარიმო დარტყმა შეასრულა ფეციაურმა, რომელთაგან პირველი ხარძეიშვილმა მოიგერია, ხოლო მეორე ბარხას ოდნავ გადასცდა. მერე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა დვალმა, გელაშვილის გოლი კი ნესვების დარღვევის გამო არ ჩაითვალა.

მოკლედ, პირველი ტაიმი „ზესტაფონის“ შეტევებში გაიღია. მატჩის სცენარი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. ზესტაფონის კვლავ ფლობდნენ უპირატესობას. 52-ე წუთზე სამმრედიელი მცველები შეცცდნენ შემოსულ მეკარე შენგელაიას უბრუნებდნენ ბურთს, ახალგაზრდა კიპრის ბურთი აეჭრა და „სამმრედია“ ძელმა იხსნა...

მოუხედავად ზესტაფონელთა უპირატესობისა, მასპინძლები გულხელდაკრეფილნი არ ყოფილან. სტუმრებს ყველაზე მეტი პრობლემა ინდივიდუალიზმით გამორჩეულმა **ზაურ ხაჭიპარაძემ** შეუქმნა. 62-ე წუთზე ის მარჯვენიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და **ელიავამ** ნესვების დარღვევით შეაჩერა. **ლევან ცარცხელიანმ** უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. სამმრედიელებს ანგარიშის გათანაბრების უნიკალური შანსი მიეცათ, მაგრამ... ვეტერანმა **ჩოპახიძემ,** რომელიც მანამდე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, პენალტი დაწინაურებულ ზესტაფონელთა კეთილშობილ ბურთის მოგერიება არ გასჩირებია...

ჰოდა, ამუშავდა ფეხბურთის დაუნერელი კანონი - „ცერ ბატკან, გაგიხარე“ რომ ჰქვია. 67-ე წუთზე დვალმა **ჟვანია** მიერ თავით უხერხოდ მოგერიებული ბურთი ბოლოვდა გაისროლა და საჯარიმოს მისადგომებიდან **შენგელაიას** აუღებელ დაურტყა. ასეთმა, ჯაბაქერით მაგრამ სამტრედიელთა ორივე მცარეს გაუხანა...

სამმრედიელები ამ ჩემპიონატში ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან. მათ არც ამჯერად დაყარეს ფარ-ხმალი და მეტიც გვარანანდაც ანერეიულეს. 71-ე წუთზე ბაჭიაშვილმ კუთხურიდან კარგად „მოჭრა“ ბურთი, ამ ეპიზოდში მცკარე უცდად და მარჯვენა ფლანგზე ტაქმის ერთ-ერთ ულუად დარჩენილმა ჟვანიამ მატჩს ინტრიგა დაუბრუნა - 2:3.

დარჩენილმა წუთებმა დაძაბული ბრძოლაში ჩაიარა. სამმრედიელებმა მაგრის გადაჩრნა სცადეს. მეცცლე შესულ **ფირცხალავასა** და **ბარამიძეს** მეტ-ნაკლებად კარგი მომენტები ჰქონდათ, თუმცა ორივემ ვერაფერ კარს აატყია. ბოლოს ზესტაფონელები კაცნაკლულნი დარჩნენ - კვარაცხელიანმ უხიფათოდ ვადება გაიყვანა, თუმცა სამმრედიელებმა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენეს და „ზესტაფონთან“ ამ სეზონში მესამედიც დამარცხდნენ.

დავით კორძაიძე
სპეციალისტი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ოლიმპი	18	14	3	1	42-13	45
2. ზესტაფონი	20	12	6	2	35-18	42
3. დინამო	19	10	5	4	33-12	35
4. ვიტ ჯორჯია	18	9	6	3	26-18	33
5. სპარტაკი	20	8	5	7	28-30	29
6. სამტრედია	19	6	4	9	26-38	22
7. სიონი	19	3	8	9	12-26	17
8. გაგრა	19	3	5	12	19-34	14
9. ბაია	19	3	3	13	15-29	12
10. ლოკომოტივი	19	1	7	11	7-24	10

მომავალი ტური

16 თებერვალი, სამშაბათი
დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სიონი

17 თებერვალი, ოთხშაბათი
ზესტაფონი-ბაგრა
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-ლოკომოტივი

ფეხბურთის ფედერაცია

პაატა ჩხეიძე

გია ფირცხალავა

ფირცხალავამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დატოვა

პაატა ჩხეიძე, ფეხბურთის ფედერაციის ახალი სახე

გია ფირცხალავა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი აღარ იქნება და მუშაობას მხოლოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგის თავკაცად გააგრძელებს. შესაბამისად, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ვაკანტურ ვახდა...

ეს გადაწყვეტილება მოსალოდნელიც იყო. გაეხსენოთ **ზვიად სიჭინავას** სიტყვები, რომელიც ფირცხალავას არჩევის შემდეგ თქვა - ის ჯერჯერობით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად რჩებაო. ეს «ჯერჯერობით» საკმაოდ მკვეთრად გაისმა, რაც იმის ნიშნი იყო, რომ ფირცხალავა ვიცე-პრეზიდენტის პოსტს მალე დატოვებდა...

თავდაპირველი ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე **პაატა ჩხეიძე** დაინიშნა, თუმცა შემდეგ დავიდგინეთ, რომ ის ბავშვთა ფეხბურთისა და ასაკობრივ ნაკრებებს მიხედავს. პაატა ჩხეიძე, ოგივე "ჩეხი", ყოფილი ფეხბურთელია. მისი დანიშვნა საფეხბურთო წრეებში ბევრს გაუხარებია, რადგან წესიერი და საქმის მოყვარული კაცის რეპუტაცია აქვს. აქამდე, "ჩეხი" ხშირებია და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სამმართველოს უფროსი გახლდათ და ფედერაციები შედეგებზე სწორედ მის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი.

თავის დროზე, ჩხეიძე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა: **"ნორჩ დინამოელში" ნიკა ამირეჯიბსა** და **ბორის სიჭინავასთან** ვარჯიშობდა, ხოლო ქართველ ნაკრების შემადგენლობაში კი ლუბლიანისა და ზაარბრიუკენის საერთაშორისო ტურნირების გამართვებებული გახდა. 1987 წელს **კახი ასათიანმა** ის თბილისის «დინამოს" დუბლებში იოყვანა - **ობარ თეთრაძესთან, ბახვა თედეევსა** და **ახრაც ცვეიბასთან** ერთად.

მართალია, ოფიციალურ შეხვედრაში არ უთამაშია, მაგრამ 1968 წელს დაბადებულთა შორის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრობის კანდიდატი გახლდათ. მან მხოლოდ რამდენიმე არაოფიციალურ მაგრში მიიღო მონაწილეობა. მაშინ ამ გუნდში თამაშობდნენ შემდგომში რუსეთის ნაკრების ლიდერები - მეკარე **სერგეი ოვჩინნიკოვი, ვიქტორ ონოპკო, ბახვა თედეევი,** აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები - **მიხეილ კალატოზიშვილი** და **გიორგი მაკასარაშვილი**, ნაკრებს კი ცნობილი სპეციალისტი **ბორის იგნატიევი** ავარჯიშებდა.

თავის დროზე, პაატა ჩხეიძემ, **ქართლოს ჭუმბურიძესა** და გიგა **არველაძესთან** ერთად, საფეხბურთო სკოლა «ბაბურთალო" დააარსა. მოკლედ, საფეხბურთო ოჯახში მიღებული კაცია...

ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის პიარმენეჯერ **თათია ბურდულაძემ** გადაგვამონმეინა:

- პაატა ჩხეიძე ფედერაციაში იმუშავებს, მაგრამ ის დაინიშნა არა ვიცე-პრეზიდენტად, არამედ ბავშვთა ფეხბურთისა და ასაკობრივი ნაკრებების ხელმძღვანელად. რაც შეეხება გია ფირცხალავას, ის საქმიანობას მხოლოდ პროფლიგაში გააგრძელებს.

- და ვინ დაინიშნება მცირეკიცე-პრეზიდენტად?

- ამას ზვიად სიჭინავა გადაწყვეტს და ახალ კანდიდატურას ფედერაციის აღმასკომს წარუდგენს. ფაქტია, რომ ამ მომენტისთვის ეს პოსტი ვაკანტურია.

- აღმასკომის სხდომა როდის გაიმართება?

- ჯერჯერობით, ესეც უცნობია, მალე გაირკვევა.

დაუსაბუთებლად პაატა ჩხეიძესაც, რომელიც ვრცელ ინტერვიუს მოერიდა:

- პირველ რიგში, გილოცავთ დანიშვნას და გვაინტერესებს - რის შეცვლას აპირებთ?

- ორშაბათს ჩემი პირველი სამუშაო დღეა, შესაბამისად, ახლა გაუმართლებელია იქნება და უფერხულოდ, ვილაპარაკო იმაზე, თუ რას ვაპირებ. ჯერ, თავად ამ სფეროში არსებული მდგომარეობა უნდა შევისწავლო. საქმეში თუ არ ჩავიხედე - რა ხდება, რა სიტუაციაა - მანამდე ლაპარაკს აზრი არ ექნება.

- ბავშვთა ფეხბურთში ბევრი რამ კი არა, ალბათ, ყველაფერი შესაცვლელია...

- კარგად ვიცნობ ბავშვთა ფეხბურთს და ვიცი, რაც ხდება. თუმცა მოდი, ვრცლად უახლოეს პერიოდში ვისაუბროთ...

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთის ფედერაცია

ფირცხალავამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დატოვა

პაატა ჩხეიძე, ფეხბურთის ფედერაციის ახალი სახე

გია ფირცხალავა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი აღარ იქნება და მუშაობას მხოლოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგის თავკაცად გააგრძელებს. შესაბამისად, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ვაკანტურ ვახდა...

ეს გადაწყვეტილება მოსალოდნელიც იყო. გაეხსენოთ **ზვიად სიჭინავას** სიტყვები, რომელიც ფირცხალავას არჩევის შემდეგ თქვა - ის ჯერჯერობით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად რჩებაო. ეს «ჯერჯერობით» საკმაოდ მკვეთრად გაისმა, რაც იმის ნიშნი იყო, რომ ფირცხალავა ვიცე-პრეზიდენტის პოსტს მალე დატოვებდა...

თავდაპირველი ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე **პაატა ჩხეიძე** დაინიშნა, თუმცა შემდეგ დავიდგინეთ, რომ ის ბავშვთა ფეხბურთისა და ასაკობრივ ნაკრებებს მიხედავს. პაატა ჩხეიძე, ოგივე "ჩეხი", ყოფილი ფეხბურთელია. მისი დანიშვნა საფეხბურთო წრეებში ბევრს გაუხარებია, რადგან წესიერი და საქმის მოყვარული კაცის რეპუტაცია აქვს. აქამდე, "ჩეხი" ხშირებია და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სამმართველოს უფროსი გახლდათ და ფედერაციები შედეგებზე სწორედ მის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი.

თავის დროზე, ჩხეიძე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა: **"ნორჩ დინამოელში" ნიკა ამირეჯიბსა** და **ბორის სიჭინავასთან** ვარჯიშობდა, ხოლო ქართველ ნაკრების შემადგენლობაში კი ლუბლიანისა და ზაარბრიუკენის საერთაშორისო ტურნირების გამართვებებული გახდა. 1987 წელს **კახი ასათიანმა** ის თბილისის «დინამოს" დუბლებში იოყვანა - **ობარ თეთრაძესთან, ბახვა თედეევსა** და **ახრაც ცვეიბასთან** ერთად.

მართალია, ოფიციალურ შეხვედრაში არ უთამაშია, მაგრამ 1968 წელს დაბადებულთა შორის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრობის კანდიდატი გახლდათ. მან მხოლოდ რამდენიმე არაოფიციალურ მაგრში მიიღო მონაწილეობა. მაშინ ამ გუნდში თამაშობდნენ შემდგომში რუსეთის ნაკრების ლიდერები - მეკარე **სერგეი ოვჩინნიკოვი, ვიქტორ ონოპკო, ბახვა თედეევი,** აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები - **მიხეილ კალატოზიშვილი** და **გიორგი მაკასარაშვილი**, ნაკრებს კი ცნობილი სპეციალისტი **ბორის იგნატიევი** ავარჯიშებდა.

თავის დროზე, პაატა ჩხეიძემ, **ქართლოს ჭუმბურიძესა** და გიგა **არველაძესთან** ერთად, საფეხბურთო სკოლა «ბაბურთალო" დააარსა. მოკლედ, საფეხბურთო ოჯახში მიღებული კაცია...

ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის პიარმენეჯერ **თათია ბურდულაძემ** გადაგვამონმეინა:

- პაატა ჩხეიძე ფედერაციაში იმუშავებს, მაგრამ ის დაინიშნა არა ვიცე-პრეზიდენტად, არამედ ბავშვთა ფეხბურთისა და ასაკობრივი ნაკრებების ხელმძღვანელად. რაც შეეხება გია ფირცხალავას, ის საქმიანობას მხოლოდ პროფლიგაში გააგრძელებს.

- და ვინ დაინიშნება მცირეკიცე-პრეზიდენტად?

- ამას ზვიად სიჭინავა გადაწყვეტს და ახალ კანდიდატურას ფედერაციის აღმასკომს წარუდგენს. ფაქტია, რომ ამ მომენტისთვის ეს პოსტი ვაკანტურია.

- აღმასკომის სხდომა როდის გაიმართება?

- ჯერჯერობით, ესეც უცნობია, მალე გაირკვევა.

დაუსაბუთებლად პაატა ჩხეიძესაც, რომელიც ვრცელ ინტერვიუს მოერიდა:

- პირველ რიგში, გილოცავთ დანიშვნას და გვაინტერესებს - რის შეცვლას აპირებთ?

- ორშაბათს ჩემი პირველი სამუშაო დღეა, შესაბამისად, ახლა გაუმართლებელია იქნება და უფერხულოდ, ვილაპარაკო იმაზე, თუ რას ვაპირებ. ჯერ, თავად ამ სფეროში არსებული მდგომარეობა უნდა შევისწავლო. საქმეში თუ არ ჩავიხედე - რა ხდება, რა სიტუაციაა - მანამდე ლაპარაკს აზრი არ ექნება.

- ბავშვთა ფეხბურთში ბევრი რამ კი არა, ალბათ, ყველაფერი შესაცვლელია...

- კარგად ვიცნობ ბავშვთა ფეხბურთს და ვიცი, რაც ხდება. თუმცა მოდი, ვრცლად უახლოეს პერიოდში ვისაუბროთ...

მერაბ მამულაშვილი

კრონფლიქტი

ფიფაში ჩივილს არც ციმაკურიძე გამორიცხავს

„ლელოს" მკითხველმა კარგად იცის **დავით მუჯირთან** დაკავშირებული ისტორია. შეგახსენებთ, ქარაგეთი ნახევარმკვლევი მოსკოვის „ლოკომოტივმა" არადამაჯერებელი არგუმენტებით დაითხოვა და ამის გამო მუჯირი ან უკვე ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ფიფაში ჩივილს აპირებს. მსგავს ნაბიჯს არ გამორიცხავს სლოვაკური „ჟილინას" მცველი **გიორგი ციმაკურიძე**.

მასთან რამდენიმე დღის წინ ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც იგი ქმაყოფილებას გამოთქვამდა „ჟილინაში" ყოფნით და მომავალს ოპტიმისტურად უყურებდა. სიტუაცია მოკლე ხანში კარდინალურად შეიცვალა. ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი „ჟილინას" დუბლებში გადაიყვანეს, რის მიზეზადაც ბუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პაველ პაპალმა** ციმაკურიძის მომზადების არადამაკმაყოფილებელი დონე დაასახელა.

საქმეში გასარკვევად თავად ციმაკურიძეს შევხვედრიდნენ, რომელმაც პაპალის გადაწყვეტილების მოტივად სულ სხვა რამ დაგვისახელა. «ცუდად რომ ვყოფილიყავი მომზადებული, სეზონის პირველ ნახევარში საკმარ რაოდენობის მატჩის ჩატარების საშუალება არავინ მომცემდა. მწვრთნელების არასოდეს უთქვამთ, რომ ჩემი სათამაშო დონე არ აკმაყოფილებდათ, პირიქით, მათი მხრიდან ყოველთვის ნდობას ვგრძნობდი და ვატყობდი, რომ უფრო და უფრო უკეთეს ფორმაში შევდიოდი. ასე იმიტომ მომქცესნენ, რომ კლუბს ჩემი ოჯახის წევრებისთვის ვიზის აღებაში დახმარებას ვთხოვდი. დამეთანხმებით, ამაში მოუხერხებელი არაფერია, მაგრამ ფეხბურთელის ელემენტარული ცხოვრებისეული საკითხის გადაჭრა «ჟილინას", როგორც ჩანს, ტვირთად დაანია. უკვე რამდენიმე თვეა, სლოვაკეთში ვთამაშობ და ჩემს ცოლ-შვილს აქ ჩამოსვლის უფლება ჯერაც არ მიუღია. ბუნებრივია, ამის გამო ფეხბურთზე მთლიანად კონცენტრირებას ვერ ვახდენ, ძალიან განვიცდი და ჩემს ადგილზე სხვაც ასე იქნებოდა. კლუბის პრეზიდენტი ამ პრობლემის მოგვარებას შემპირდა, პაპალმა კი ჩემი თბოვნის შემდეგ რამოდენიც ამითვალწუნა და მეორე დღისვე დუბლებში გადამიყვანა. ასეთი დამთხვევა ნორმოუდგენელია, ნინა დღეს თუ მისთვის საჭირო ფეხბურთელი ვიყავი, ერთ დღეში უცებ რაღომ შეიცვალდა აზრის?! რა დასაბალია და მეც ვეყევი ნერვებს, პაპალთან ხმამაღალი საუბარი მქონდა, უსამართლოდ მოშექცა და თავი ვერ შევიკავე"...

ციმაკურიძემ ისიც გვითხრა, რომ დუბლებში თამაშს არ აპირებს და ახალი კლუბის ძიებაშია. ეს კი არცთუ იოლად განსახორციელებელი საქმეა, რადგან მიმდინარე სეზონის მსვლელობისას გიორგის უკვე ორ კლუბში აქვს ნათამაშები („ჟილინამდე" ალჩევსკის „სტალში") და ფიფას კანონით, მესამეში გადასვლის უფლება არა აქვს. ამიტომაც ციმაკურიძე ისეთ ქვეყანაში უნდა ნავიდეს, სადაც სეზონი გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით იმართება. ასეთი ქვეყანა ევროპაში სულ რამდენიმეა და მათ შორისაა რუსეთიც. გიორგიმ დაგვიდასტურა, რომ მისი მენეჯერი მართლაც მუშაობს რუსული კლუბების ვარიანტებზე, თუმცა კი ამ თემაზე უფრო ვრცელი საუბრისგან თავი შეიკავა. მას „ჟილინასთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და შესაბამისად, ახალ კლუბს სლოვაკებისთვის თანხის გადახდა მოუწევს.

ციმაკურიძის ისტორიიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფფიქრობი ისაა, რაც სტატიის დასაწყისში ვთქვით. «დავით მუჯირს აუცილებლად დავუკავშირდები და რჩევებსაც ვთხოვ", - ამბობს ციმაკურიძე. ვნახოთ, რას გადაწყვეტს და რა გზას დაადგება კლუბთან დაპირისპირებული მცირე ქართველი ფეხბურთელი...

ლევან ჯანეზაშვილი

სპორტულ-ტექნიკური კომისია

დღეს სიონი-სპარტაკის განხილვაა

ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია დღეს ბოლნისის „სიონისა" და ცხინვალის „სპარტაკის" ამხსნინანდელ შეხვედრას განიხილავს. შეგახსენებთ, რომ ეს იყო მე-19 ტურის შეხვედრა, რომელიც 5 თებერვალს რუსთავში გაიმართა და „სპარტაკის" გამარჯვებით (1:0) დასრულდა. მატჩის შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოსდა თამაში გარიგებული იყო. პროფლიგის პრესსატაშე **დავით ფრანგიშვილმა** განაცხადა, რომ ხსნებულ მატჩთან დაკავშირებით საგანგებო განხილვა მოეწყობოდა, რითიც, ფაქტობრივად, დაადასტურა, "რომ გარკვეული ეჭვები პროფლიგაშიც ჰქონდათ.

ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგაში კლუბების დასაჯას არ გამორიცხავენ და რომ ეს არ იქნება მორიგი პიარაქცია - „ჩვენ ვებრძვით ჩაწყობილ თამაშებს". შესაძლო სასჯელად ორივე გუნდისთვის 5-5, ან 3-3 ქულის ჩამოკლება განიხილება. თუმცა ვიმეორებთ - ეს მხოლოდ ვარაუდია. სხდომა კი დღეს 12 საათზე, ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება.

მერაბ მამულაშვილი

U 17

ქალაქებიც ცნობილია

ბაირაქმა ის ქალაქები და სტადიონები, სადაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის შეხვედრებს გამართავს. შეგახსენებთ, ჩვენს ჯგუფებს ჩეხეთი უმასპინძლებს.

25 მარტს ჩვენებთან მატჩს ქალაქ ლანჟოტში, „ნა სლაიშის" სტადიონზე ჩავატარებთ, 27 მარტს პოლანდიის ნაკრებს ჩაკრის კოლიეტში მეტრო „ბანკ რატის კოლეგიუმზე" შეეხვედებით, ელიტრაუნდში თამაშს კი 30 მარტს ურანიასთან დავასრულებთ და ამ შეხვედრისთვის ისევ ლანჟოტის „ნა სლაიშეზე" დავბრუნდებით. ჩვენი ჯგუფის თამაშებს ასევე უმასპინძლებენ ბრეცლავი და კიოვი.

საქართველოს ნაკრები უკვე დაბრუნდა ბელგიიდან, სადაც მასპინძელთა 17-წლამდელებს 11 თებერვალს შვი დღე ადარა და 2:1 გაიმარჯვა. 9 თებერვალს მატჩი კი შეგახსენებთ, 1:1 დასრულდა. **გიორგი დევდარიანის** გუნდი ელიტრაუნდისთვის მზადების მორიგ ეტაპს საქართველოში გაივლის, უახლოესი მნიშვნელოვანი ამხანაგური მატჩი კი სავარაუდოდ, 13 მარტს გერმანიაში გველის ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებთან.

ლევან ჯანეზაშვილი

მოსალოდნელი ტრანსფერები

გაბედავა კი, მაგრამ ოქრიაშვილიც?

თორნიკე ოქრიაშვილი

რეგორც ცნობილია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდასმსმელი **გიორგი გაბედავა** უკრაინული პრემიერლიგის კლუბ მარიუპოლის „ილიჩევეცში" გადადის. 20 წლის ფორვარდი კონტრაქტს დღეს გააფორმებს. „გაგრა" ნახევარწლიან არენდაზე დათანხმდა. ამ პერიოდში გაბედავა იმედს გაამართლებს, ახალი სეზონიდან 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

როგორც შევიტყვეთ, 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველ **თორნიკე ოქრიაშვილითაცაა** დაინტერესებული. ამასობაში კი „გაგრის" პრესამბატე **მიხეილ აფხაზავამ** გაავრცელა ინფორმაცია, რომ ახთალილაში გამართული საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გაბედავათი სხვა უკრაინელი (კიევის „ობოლონი", ლვოვის „კარპატი"), ასევე თურქული („ბრაზჩნოსცორი") და ყაზახური კლუბებიც („ტობოლი") ინტერესდებოდნენ.

გაბედავა და ოქრიაშვილი ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თოარ გაბელიამ** ესპონეთთან 3 მარტის შესარჩევი მატჩისთვის გამოიძახა.

მერაბ მამულაშვილი

ამბები

ანანიძე მესამე შეკრებაზე

მოსკოვის „სპარტაკი" სეზონისწინა შესამე შეკრებაზე ესპანეთში გაემგზავრა, სადაც 23 თებერვლამდე ივარჯიშებს და საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებს პეზჩინის „ვიქტორიასა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" წინააღმდეგ. „სახალხო გუნდთან" ერთადაა **ჯაბა ანანიძეც**, რომლის ესპანეთში ნასვლაც მცირე ტრავმის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

ასათიანი კვლავ შეუცვლელად

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და დონეცკის „შახტიორის" საკონტროლო შეხვედრაში მოეწინენეს. მატჩი რკინიგზელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. 17 თებერვალს „ლოკომოტივი" ესპანურ მარბელაში მიემგზავრება შეკრებაზე.

გურული ისევ ძირითადში

სანდრო გურული ლვოვის „კარპატის" ძირითად შემადგენლობაში ბელარუსულ მატჩებთან ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაშიც ვიხილეთ. მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა, გურული კი სხვა ფეხბურთელების მსგავსად, შესვენებისას შეცვალეს.

მეგობარ: სომხეთის ნაცვლად ანგოლა

უკვე გაცნობეთ, რომ ჩვენი მომავალი მეტოქე ლატვიის ნაკრები ამხანაგური მატჩის ჩატარებას სომხეთის ეროვნულ გუნდთან აპირებდა, მაგრამ მალტიისპირელებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და **ალექსანდრ სტარკოვის** გუნდი მარტში სომხეთის ნაცვლად, ანგოლელებს გაუჯიბრებიან. შეხვედრა ანგოლის დედაქალაქ ლუანდაში გაიმართება.

ლევან ჯანეზაშვილი

უმთავრესი კრიტერიუმი სამართლიანობის პრინციპი

ერთი კვირა გავიდა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრიდან და ამ დროის განმავლობაში არ წყდებოდა ლაპარაკი საქართველოს ნაკრების შანსებზე; ოღონდ, ახლა უკვე სხვა საკამათო თემაა აქტუალური: ესტონეთთან 3 მარტს დანიშნული ამხანაგური მატჩისათვის თემურ ქუცნაიას საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დაასახელეს! სწორედ ამ 21-კაციან სიაზე გვინდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. რა თქმა უნდა, შემოდგომამდე (ანუ, შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე) საქართველოს ნაკრებში არაერთი ცვლილებაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამჟამინდელი შემადგენლობა 90-95 პროცენტით ოპტიმალურია. ანუ, ერთი-ორი კონკრეტული ფეხბურთელის გამოძახებაარგამოძახების თუ არ ჩავთვლით, ამ სანაკრებო სიამ... ბევრი მოთქმა-მოთქმის საფუძველი არავის უნდა მისცეს.

მოკლედ, ფაქტობრივად, გამართლდა ჩვენი ვარაუდი, როცა ნინა წლის ნოემბერში ვივარაუდეთ: „...ერთ რამეში ღრმად ვართ დარწმუნებულნი - საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ღირსეულები ითამაშებენ! ანუ, ისინი, ვინც იმ მომენტისათვის ოპტიმალურ ფორმაში იქნებიან და იმისიც გვჯერა, რომ თემურ ქუცნაიას ნაკრებში მოღვაწეობის პერიოდში სამართლიანობის პრინციპი არასდროს დაირღვევა; პო, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს და **ჩვენთანაც ნარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როდესაც ნაკრებში - ვის სატრანსფერო ინტერესების გამო, ვის ძველი დამსახურების გამო, ვის კი გაურკვეველი მიზან-მიზეზის გამო ირეგულარულად ითამაშებდნენ"...**

ახლა კი, ალბათ, ჯობს საქართველოს ნაკრების სიას „გადავხედოთ" და ამპლუების მიხედვით ვისაუბროთ.

ალექსანდრე ამისულაშვილი

მეკარეები

